

2023

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

3-5

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება

6

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

7

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

8

ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1.	ძირითადი საქმიანობა	10
2.	მომზადების საფუძველი	10
3.	სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	12
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	27
5.	წინა პერიოდის შესწორება	28
6.	ამონაგები	29
7.	რეალიზაციის თვითღირებულება	29
8.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	29
9.	მიწოდების ხარჯები	30
10.	არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	30
11.	ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან, წმინდა	30
12.	ძირითადი საშუალებები	31
13.	საინვესტიციო ქონება	32
14.	აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება	32
15.	მარაგები	33
16.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	34
17.	გაცემული სესხები	35
18.	წინასწარ გადახდილი გადასახადები	36
19.	ფული და ფულის ექვივალენტები	36
20.	მიღებული სესხები	37
21.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	37
22.	პირობითი ვალდებულებები	37
23.	ფინანსური რისკი	38
24.	ოპერაციები დაკავშირებულ მახრებთან	42

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

43

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იბერტექ გრუპის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „იბერტექ გრუპის“ და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც მოიცავს 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ამავე თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებულ ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებითი სააღრიცხო პოლიტიკების შეჯამებას.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით ჯგუფის მარაგების ინვენტარიზაციას საანგარიშგებო წლის ბოლოს. გამომდინარე იქიდან, რომ ვერ მოხერხდა ინვენტარიზაციაზე დასწრება ჩვენი მხრიდან და გამომდინარე იქიდან, რომ ჯგუფს გააჩნია სწრაფად ბრუნვადი მარაგები, ვერ შევძელით ალტერნატიული პროცედურითაც არსებობის დადასტურება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მარაგების ოდენობისა და მდგომარეობის შესახებ, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია 19,692,428 ლარით. ასევე ერთ ერთი შვილობილი კომპანია იმპორტირებული მარაგების შესყიდვისას არ ითვალისწინებს ინკოტერმის პირობებს. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თუ აღურიცხავ მარაგებში, ასევე სრული შემოსავლისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შესაბამის ელემენტებში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ვინაიდან მარაგების ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და ფულადი ნაკადების განსაზღვრაში.

ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჩვენ ვერ მოგვაწოდა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ჯგუფის ფასს-ის შესაბამისად აქვს ჩატარებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების ანალიზი, აღმოჩენილი მაკორექტირებელი თუ არამაკორექტირებელი მოვლენები და სათანადოდ დაკორექტირებული ფინანსური ანგარიშგება ან ასახული განმარტებით შენიშვნებში. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედგინა აღნიშნული საკითხის შესაძლო გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ჯგუფის მმართველობის ანგარიშგებაში

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მოცემულ ინფორმაციას, მაგრამ არ შეიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენს აუდიტორულ დასკვნას. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს სხვა ინფორმაციას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა ზემოთ მითითებული სხვა ინფორმაციის გაცნობა და იმის განსაზღვრა, ეს სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან სათანადო მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დაფასკვნიტ, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს განსაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ას-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ას-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარ განზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული ჯგუფის საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად ჯგუფის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების

- მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი კომპანიებისა და ოპერაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, აუდიტის პროცესში ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე, ჯგუფის კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- ▶ თანხვედრილია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- ▶ მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ანა გაბედავა, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-518332)

შპს „ნექსია ჯორჯია“ (SARAS-F-550338)

25 სექტემბერი, 2024

თბილისი, საქართველო



შპს „იბერტექ გრუპი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023	2022*
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	59,350,505	51,449,004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(42,331,297)	(36,567,297)
საერთო მოგება		17,019,208	14,881,707
მიწოდების ხარჯი	9	(4,785,384)	(4,911,285)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,610,882)	(4,410,449)
საოპერაციო მოგება		6,622,942	5,559,973
არასაოპერაციო შემოსავალი	10	172,107	419,047
არასაოპერაციო ზარალი	10	(387,276)	(355,250)
საპროცენტო შემოსავალი	17	265,497	247,891
საპროცენტო ხარჯი	20	(1,640,042)	(1,356,877)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკუთროს სხვაობიდან	11	(187,148)	2,243,702
მოგება დაბერგვამდე		4,846,080	6,758,486
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,846,080	6,758,486
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,846,080	6,758,486

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ვეფხვია საზუაშვილი
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2023	2022*
შემოსავალი რეალიზაციიდან	6	59,350,505	51,449,004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(42,331,297)	(36,567,297)
საერთო მოგება		17,019,208	14,881,707
მიწოდების ხარჯი	9	(4,785,384)	(4,911,285)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(5,610,882)	(4,410,449)
საოპერაციო მოგება		6,622,942	5,559,973
არასაოპერაციო შემოსავალი	10	172,107	419,047
არასაოპერაციო ზარალი	10	(387,276)	(355,250)
საპროცენტო შემოსავალი	17	265,497	247,891
საპროცენტო ხარჯი	20	(1,640,042)	(1,356,877)
წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	11	(187,148)	2,243,702
მოგება დაბერგვამდე		4,846,080	6,758,486
მოგების გადასახადი		-	-
წლის წმინდა მოგება		4,846,080	6,758,486
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4,846,080	6,758,486

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“
 ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*	31 დეკემბერი 2021*
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	5,791,587	5,812,416	3,891,385
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ავანსი		4,141,390	2,029,177	-
არამატერიალური აქტივები		136,275	123,801	122,445
საინვესტიციო ქონება	13	129,468	146,426	155,638
გაცემული სესხები	17	1,436,113	1,844,602	1,365,841
აქტივი გამოყენების უფლებით	14	2,167,087	2,134,519	2,776,106
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,801,920	12,090,941	8,311,415
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები	17	735,148	816,341	391,893
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15	19,692,428	18,112,030	17,412,959
გადახდილი ავანსები		1,946,448	2,182,946	3,374,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	11,877,456	12,691,310	9,101,993
აქტივის დაბრუნების უფლება		117,500	744,227	655,186
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	19	1,197,200	981,641	587,919
სულ მიმდინარე აქტივები		35,566,180	35,528,495	31,524,817
სულ აქტივები		49,368,100	47,619,436	39,836,232
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		21,474,268	16,628,188	9,869,702
სულ კაპიტალი		21,474,268	16,628,188	9,869,702
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	20	1,671,183	791,899	5,346,527
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	14	2,355,110	2,210,239	2,938,631
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,026,293	3,002,138	8,285,158
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	4,244,426	11,795,224	13,389,409
მიღებული ავანსები		2,252,932	1,700,007	824,263
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		165,819	1,038,112	933,983
მიღებული სესხები	20	16,544,814	12,992,697	6,328,389
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	14	224,729	35,377	4,421
გადასახდელი გადასახადები	18	434,819	427,693	200,907
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,867,539	27,989,110	21,681,372
სულ ვალდებულებები		27,893,832	30,991,248	29,966,530
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		49,368,100	47,619,436	39,836,232

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ვეფხვია საზუაშვილი
 დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022*	31 დეკემბერი 2021*
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	5,791,587	5,812,416	3,891,385
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსი		4,141,390	2,029,177	-
არამატერიალური აქტივები		136,275	123,801	122,445
საინვესტიციო ქონება	13	129,468	146,426	155,638
გაცემული სესხები	17	1,436,113	1,844,602	1,365,841
აქტივი გამოყენების უფლებით	14	2,167,087	2,134,519	2,776,106
სულ გრძელვადიანი აქტივები		13,801,920	12,090,941	8,311,415
მიმდინარე აქტივები				
გაცემული სესხები	17	735,148	816,341	391,893
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	15	19,692,428	18,112,030	17,412,959
გადახდილი ავანსები		1,946,448	2,182,946	3,374,867
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16	11,877,456	12,691,310	9,101,993
აქტივის დაბრუნების უფლება		117,500	744,227	655,186
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	19	1,197,200	981,641	587,919
სულ მიმდინარე აქტივები		35,566,180	35,528,495	31,524,817
სულ აქტივები		49,368,100	47,619,436	39,836,232
კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		21,474,268	16,628,188	9,869,702
სულ კაპიტალი		21,474,268	16,628,188	9,869,702
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები	20	1,671,183	791,899	5,346,527
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	14	2,355,110	2,210,239	2,938,631
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,026,293	3,002,138	8,285,158
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	4,244,426	11,795,224	13,389,409
მიღებული ავანსები		2,252,932	1,700,007	824,263
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება		165,819	1,038,112	933,983
მიღებული სესხები	20	16,544,814	12,992,697	6,328,389
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	14	224,729	35,377	4,421
გადასახდელი გადასახადები	18	434,819	427,693	200,907
სულ მიმდინარე ვალდებულებები		23,867,539	27,989,110	21,681,372
სულ ვალდებულებები		27,893,832	30,991,248	29,966,530
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		49,368,100	47,619,436	39,836,232

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებები მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	9,869,702	9,869,702
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,758,486	6,758,486
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	16,628,188	16,628,188
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,846,080	4,846,080
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,474,268	21,474,268

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ვეფხვია საზუაშვილი
დირექტორი

დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იზერტეკ გრუპი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

	გაუნაწილებები მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	9,869,702	9,869,702
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	6,758,486	6,758,486
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით *	16,628,188	16,628,188
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	4,846,080	4,846,080
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	21,474,268	21,474,268

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგვრამდე		4,846,080	6,758,486
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	629,062	647,277
საპროცენტო ხარჯი	21;14	1,640,042	1,356,877
საპროცენტო შემოსავალი	17	(265,497)	(247,891)
(მოგება) / ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		97,966	(14,906)
შემოსავალი საიჯარო კონტრაქტის გაუქმებიდან		(9,061)	(140,038)
ფინანსური აქტივების გაუფასურება / (რევერსი)		(763,233)	45,164
წმინდა (მოგება) / ზარალი საკუროს სხვაობიდან	11	187,148	(2,243,702)
ფულადი სახსრების შემოძინება საოპერაციო საქმიანობიდან		6,362,507	6,161,267
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე			
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
მარაგების ზრდა		(1,710,029)	(699,171)
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება		1,593,573	(3,270,796)
მიღებულ ავანსებში ზრდა		552,927	875,840
ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების ზრდა / (შემცირება)		(872,293)	104,129
აქტივის დაბრუნების უფლების (ზრდა) / შემცირება		626,727	(89,041)
გადახდილი ავანსების შემცირება		236,498	1,191,921
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		7,126	226,788
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(7,567,829)	(1,434,906)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე		(770,793)	3,066,031
გადახდილი პროცენტი		(1,455,052)	(1,305,097)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		(2,225,845)	1,760,934
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(428,898)	(2,455,252)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსები		(2,112,213)	(2,029,177)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(12,474)	(1,356)
გაცემული სესხის დაბრუნება		707,900	113,000
მიღებული პროცენტები		42,660	-
სესხის გაცემა		(10,100)	(636,300)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული თანხები		-	26,365
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1,813,125)	(4,982,720)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხები	20	34,971,618	20,656,754
გადახდილი სესხები	20	(30,581,233)	(16,935,573)
ძირი თანხის გადახდა საიჯარო ვალდებულებებზე	15	(9,599)	(31,113)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		4,380,786	3,690,068
წმინდა ფულადი სახსრები ზრდა (შემცირება)		341,816	468,282
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	19	981,641	587,919
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(126,257)	(74,560)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	19	1,197,200	981,641

* ზოგიერთი ნაწევრები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.
 დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:

ვეფხვია საზუაშვილი
 დირექტორი


დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“

**ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)**

	შენიშვნა	2023	2022*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგვრამდე		4,846,080	6,758,486
შესწორებები შემდეგი მუხლებისთვის:			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	629,062	647,277
საპროცენტო ხარჯი	21;14	1,640,042	1,356,877
საპროცენტო შემოსავალი	17	(265,497)	(247,891)
(მოგება) / ზარალი ძირითადი საშუალების გასვლიდან		97,966	(14,906)
შემოსავალი საიჯარო კონტრაქტის გაუქმებიდან		(9,061)	(140,038)
ფინანსური აქტივების გაუფასურება / (რევერსი)		(763,233)	45,164
წმინდა (მოგება) / ზარალი საკუროს სხვაობიდან	11	187,148	(2,243,702)
ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		6,362,507	6,161,267
საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:			
მარაგების ზრდა		(1,710,029)	(699,171)
სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა) / შემცირება		1,593,573	(3,270,796)
მიღებულ ავანსებში ზრდა		552,927	875,840
ფულადი სახსრების დაბრუნების ვალდებულების ზრდა / (შემცირება)		(872,293)	104,129
აქტივის დაბრუნების უფლების (ზრდა) / შემცირება		626,727	(89,041)
გადახდილი ავანსების შემცირება		236,498	1,191,921
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა		7,126	226,788
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(7,567,829)	(1,434,906)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან პროცენტამდე		(770,793)	3,066,031
გადახდილი პროცენტი		(1,455,052)	(1,305,097)
წმინდა ფულადი ნაკადები (გამოყენებული) / მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		(2,225,845)	1,760,934
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(428,898)	(2,455,252)
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსები		(2,112,213)	(2,029,177)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა		(12,474)	(1,356)
გაცემული სესხის დაბრუნება		707,900	113,000
მიღებული პროცენტები		42,660	-
სესხის გაცემა		(10,100)	(636,300)
ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული თანხები		-	26,365
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(1,813,125)	(4,982,720)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
აღებული სესხები	20	34,971,618	20,656,754
გადახდილი სესხები	20	(30,581,233)	(16,935,573)
ძირი თანხის გადახდა საიჯარო ვალდებულებებზე	15	(9,599)	(31,113)
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საფინანსო საქმიანობიდან		4,380,786	3,690,068
წმინდა ფულადი სახსრები ზრდა (შემცირება)		341,816	468,282
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის	19	981,641	587,919
უცხოური ვალუტის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებზე		(126,257)	(74,560)
ფულადი სახსრები წლის ბოლოს	19	1,197,200	981,641

* ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2022 და 2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებას და ასახავს მე-5 შენიშვნაში აღწერილი კორექტირების შედეგს.
დამტკიცებულია გამოსაშვად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 25 სექტემბერს:



დართული შენიშვნები 10-42 გვერდებზე წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

(ა) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „იბერტექ გრუპი“ და მისი შვილობილი კომპანიები (შემდგომში „ჯგუფი“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 13 აგვისტოს. ჯგუფის სარეგისტრაციო ნომერია: 445388394 ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №12ა მე-4 სართული.

ჯგუფი საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე და ყიდის თავის პროდუქციას როგორც საქართველოში. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათების საშუალებების, სანტექნიკისა, სამშენებლო-სამეურნეო ინსტრუმენტების საბითუმო რეალიზაცია და საპროექტო, სამშენებლო მომსახურება.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის უშუალო მფლობელი არის შალვა ყაფლანიშვილი.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში ჯგუფის დირექტორი არის ვეფხია საზუაშვილი.

(ბ) ბიზნეს გარემო

ჯგუფი საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდგომში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული ადიხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ.

წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის საოპერაციო ვალუტაა ლარი (GEL), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასებამდე.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ჯგუფი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ საქმიანობა საქართველოში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჯგუფის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური პროგნოზი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში. შესაბამისად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

(ე) კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „იბერ ტექ გრუპი“-სა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო. კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას მიმდინარე მომენტში საშუალებას აძლევს მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- ინვესტიციის ობიექტში ხმის უფლების მქონე აქციების სხვა მფლობელებთან სახელშეკრულებო გარიგებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ჯგუფის ხმის უფლებები და პოტენციური ხმის უფლებები;

საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური აქტივი და ვალდებულება, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

2023 წლის განმავლობაში კომპანია ფლობდა შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2023	2022	საქმიანობის სახე
შპს ბორან ლიათი	შვილობილი	100%	100%	განათების საშუალებების, სანტექნიკისა, სამშენებლო-სამეურნეო ინსტრუმენტების საბითუმო რეალიზაცია.
შპს ბორან მაინინგ ენდ კო	შვილობილი	100%	100%	საპროექტო, სამშენებლო მომსახურება

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

(ა) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკურსო მოგება ან ზარალი წერმოდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრულ შემოსავლის ანგარიშგების მუხლში „წმინდა ზარალი საკურსო სხვაობიდან“ ნეტო სიდიდით.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომლის გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.9753	2.8844	3.5040
წლის საშუალო გაცვლითი კურსი	2023	2022	
1 აშშ დოლარი/ლარი	2.6279	2.9156	
1 ევრო/ლარი	2.8416	3.0792	

(ბ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ჯგუფი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებლებთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც ჯგუფი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების დროულობა

ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს იმპორტირებული განათების საშუალებების რეალიზაცია რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე. დეტალური სააღრიცხვო პოლიტიკა შემოსავლის მაფორმირებელი ძირითადი საქმიანობისთვის წარმოდგენილია ქვემოთ:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)

შემოსავალი განათების საშუალებების რეალიზაციიდან

ჯგუფის შემოსავალს იღებს პროდუქციის რეალიზაციით ადგილობრივ ბაზარზე და პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება, როცა საქონელი გადაეცემა მომხმარებელს.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ჯგუფის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

მოსალოდნელი ცვლადი ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია ბრუნვაზე მიღებულ ფასდაკლებაზე, ამცირებს მოსალოდნელ საკონტრაქტო შემოსავალს. ბრუნვაზე მიღებული ფასდაკლების პირობით პროდუქციის მიწოდებისას ჯგუფი შემოსავალს აღიარებს იმ მოცულობით, რომელსაც მაღალი ალბათობით არ მოუწევს უკუგატარება, როდესაც დადგინდება შეთავაზებული ფასდაკლების მიღების შესაძლებლობა.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ჯგუფის კონტრაქტების უმეტესი ნაწილი არის ფიქსირებულ ფასიანი. დიდი მოცულობის შეკვეთის შემთხვევაში ფასდაკლების შეთავაზებისას, ოპერაციის ფასი ერთეული პროდუქტისთვის გაიანგარიშება მთლიანი საკონტრაქტო ღირებულების გაყოფით პროდუქციის რაოდენობაზე.

გამოყენებული გათავისუფლება

ჯგუფმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

(გ) დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ჯგუფი დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან. ჯგუფის არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კოსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს, რომელიც არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის თანახმადაც კომპანიები (გარდა ბანკებისა, საკრედიტო გაერთიანებებისა, სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) არ იხდიან მოგებიდან გადასახადს მათ მიერ 2017 წლის 1 იანვრიდან მიღებულ მოგებაზე, სანამ მოგება არ განაწილებს ან მიიჩნევა დივიდენდის სახით განაწილებულად.

15 % მოგებიდან გადასახადი გადახდას ექვემდებარება ერთობლივი ღირებულებით (ანუ წმინდა დივიდენდები გადაანგარიშდება 5% გადასახადის დაქვითვით, თუ შეესაბამება, და გაყოფილი 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის და არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული მოგებიდან გადახდილი დივიდენდი გათავისუფლებულია გადასახადისგან. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილ შემოსავალზე დივიდენდი ექვემდებარება მოგებიდან გადასახადს ერთობლივ ღირებულებაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათით, რომელიც გაანგარიშებულია, როგორც კორპორატიული მოგებიდან გადასახადის წილი, გაცხადებული და გადახდილი დაბეგვრად მოგებაზე მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ იმავე პერიოდისთვის, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდზე. თუმცა, საგადასახადო შეღავათის ოდენობა არ უნდა აჭარბებდეს ფაქტობრივ მოგებიდან გადასახადს, რაც დაწესებულია დივიდენდის განაწილებაზე.

დივიდენდების განაწილებიდან მიღებული მოგებიდან გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგებიდან გადასახადის ხარჯი დივიდენდის გამოცხადების პერიოდში, მიუხედავად ფაქტობრივი გადახდის თარიღისა ან პერიოდისა, რომელზედაც დივიდენდი იხდება. მოგებიდან გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიშობა დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი უნდა გადახდილი იქნას ხარჯებზე და სხვა გადასახადებზე, რომლებიც წარმოშობილია არა-ეკონომიკურ საქმიანობებთან დაკავშირებით, აქტივებისან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებაზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე, რომლებიც არ აჭარბებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი და სხვა ზოგიერთი ტრანზაქციები ასეთ სუბიექტებთან, აგრეთვე ფიზიკურ პირებზე და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები, ექვემდებარება დაუყოვნებელ დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გამოკლებული საგადასახადო შეღავათები, რაც გაცხადებულია შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებაზე ან ფიზიკურ და არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ამოღებაზე, აღირიცხება სხვა გადასახადებში, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად ჯგუფი წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

(ე) გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

(ვ) ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება

ძირითადი საშუალებები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე ჯგუფის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშობა აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

შემდგომი შეფასება / აღრიცხვა

აქტივად აღიარების შემდგომ ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულების მოდელით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით ან/და გაუფასურების ღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო პერიოდის ვადა
შენობა-ნაგებობა	20 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5 წელი
მანქანა-დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც ჯგუფი მიიღებდა აქტივების გასხვისებიდან, გამოკლებული გასხვისების სავარაუდო ხარჯები, თუ აქტივი უკვე ხანდაზმულია და იმყოფება მისი საექსპლუატაციო პერიოდის დასრულებისას მოსალოდნელ მდგომარეობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და საექსპლუატაციო ვადა გადაიხედება და თუ საჭიროა, კორექტირდება თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს.

(ზ) საინვესტიციო ქონება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას საწყისი აღიარებისას აღრიცხავს თვითღირებულებით, ხოლო შემდგომ თვითღირებულების მოდელით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და ნებისმიერ უშუალოდ მიკუთვნებად დანახარჯებს. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება აღირიცხება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში „სხვა შემოსავლი/სხვა ხარჯების“ მუხლში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები

იჯარის იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას ჯგუფი აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ჯგუფი აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა შემდეგი ორივე უფლება:

- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და
- იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

საწყისი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფი აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა:

- იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და
- იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია.

იჯარა ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება როგორც:

- აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და
- ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად არის შესაძლებელი. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე.

ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ჯგუფის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს:

- თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები (გაგრძელება)

- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის ასახვით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება.

თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია ცვლადი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებით.

როცა ჯგუფი ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე:

- იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე.
- იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში,
- რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) იჯარები (გაგრძელება)

ჯგუფი არასაიჯარო კომპონენტებს არ გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან და ამის ნაცვლად თითოეული საიჯარო კომპონენტი და მასთან დაკავშირებული არასაიჯარო კომპონენტი აღრიცხება, როგორც ერთი საიჯარო კომპონენტი.

იჯარის ვადის განსაზღვრა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს.

ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, ჯგუფი განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. ჯგუფი ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას.

ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

საიჯარო გადახდების განსაზღვრა

საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულს ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. ჯგუფი ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს ჯგუფმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს.

(ზ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლო გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღირებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივითა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

(თ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

თავდაპირველი აღირება

აღიარების თარიღი

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფმა აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში.

თავდაპირველი შეფასება

თავდაპირველი შეფასებისთვის ფინანსური ინსტრუმენტის კლასიფიკაცია დამოკიდებულია სახელშეკრულებლო პირობებსა და ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელზე. თავდაპირველად ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ფინანსური აქტივი და ვალდებულების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, მაშინ ამ თანხებს ემატება ან აკლდება გარიგების დანახარჯები.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

ჯგუფი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით:

- ამორტიზირებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში;
- სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, სასესხო დავალიანებისა და ფინანსური გარანტიების გარდა, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

ჯგუფის ხემძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ჯგუფის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები“ (სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, საკონტრაქტო აქტივები და ფულს და ფულის ეკვივალენტები) და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ამორტიზირებული ღირებულებით

ჯგუფი ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სხვა ფინანსური ინვესტიციების შეფასებას ამორტიზირებული ღირებულებით იმ შემთხვევაში, თუ ორივე შემდეგი პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(თ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ზემოთხსენებული პირობების დეტალები მოცემულია ქვემოთ:

ბიზნესმოდელის შეფასება

ჯგუფის ბიზნესმოდელი განისაზღვრება ისეთ დონეზე, რომელიც გვიჩვენებს, რა მეთოდებით ხდება ფინანსური აქტივების ჯგუფების ერთობლივად მართვა ბიზნესის გარკვეული მიზნების მისაღწევად.

ჯგუფის ბიზნესმოდელი არ წარმოადგენს ცალკეული ინსტრუმენტებისთვის გამოსაყენებელ საკლასიფიკაციო მიდგომას, არამედ იგი უნდა განისაზღვროს აგრეგირების უფრო მაღალ დონეზე და დაფუძნებული უნდა იყოს ისეთ დაკვირვებად ფაქტორებზე, როგორიც არის, მაგალითად:

- როგორ ხდება ბიზნესმოდელის ეფექტურობისა და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება და ამ საკითხების შესახებ საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ინფორმირება;
- რისკები, რომლებიც გავლენას ახდენს მოცემული ბიზნესმოდელის (და ამ ბიზნესმოდელის ფარგლებში ფლობილი ფინანსური აქტივების) ეფექტურობაზე და კონკრეტულად როგორ ხორციელდება ამ რისკების მართვა;
- რა ფორმით ხდება ბიზნესის ხელმძღვანელების ანაზღაურება (მაგალითად, ანაზღაურება მართული აქტივების სამართლიან ღირებულებას ეფუძნება თუ მიღებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ოდენობას);
- მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და გაყიდვების დროულობა ასევე მნიშვნელოვანია ჯგუფის შესაფასებლად.

ბიზნეს მოდელის შეფასება დაფუძნებულია გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებზე, „ყველაზე უარესი“ ან „სტრესული შემთხვევების“ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ ფულადი ნაკადები ისეთი გზით წარმოიქმნება, რომელიც განსხვავდება ბიზნესმოდელის შეფასების თარიღით ჯგუფის მოლოდინებისგან, ეს არ გამოიწვევს მოცემული ბიზნესმოდელის ფარგლებში დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ცვლილებას, თუმცა ინფორმაციის გათვალისწინება მოხდება მომავალში ახლად წარმოქმნილი ან ახლად შესყიდული ფინანსური აქტივების შეფასებისას.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების (SPPI) ტესტირება

კლასიფიკაციის შემდეგ ეტაპზე ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს, რათა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ისინი ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების ტესტირებას.

„ძირითადი თანხა“ ტესტირების მიზნებისთვის განისაზღვრება როგორც ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას და შეიძლება შეიცვალოს ფინანსური აქტივის სასარგებლო გამოყენების მანძილზე (მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება გადახდები ძირითადი თანხის დასაფარადა ან პრემიუმის/ დისკონტის ამორტიზაცია). ფულის

დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკის ანაზღაურება პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტებია. იმისათვის, რომ განისაზღვროს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, ჯგუფი მიმართავს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა ვალუტა, რომელშიც გამოსახულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც დადგენილია საპროცენტო განაკვეთი.

ამისგან განსხვავებით, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ითვალისწინებს არაარსებითზე მეტ რისკს ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ცვალებადობას, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სახელშეკრულებო გარიგებას, არ წარმოქმნის ისეთ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირითადი თანხის და დაუფარავ ბალანსზე დარიცხული პროცენტის გადახდას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ფინანსური აქტივი უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)**(თ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ჯგუფი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ჯგუფი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ჯგუფი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ აღარ ექვემდებარება დაბრუნებას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი მოცემულია ქვემოთ:

	მიმდინარე	31-90 დღე	91-180 დღე	181-365 დღე	> 365 დღეზე
საკრედიტო ზარალის ანარიცხი (%)	1%	3%	5%	16%	100%

გაუფასურების რეზერვი გაცემულ სესხებზე აღიარდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელით. ჯგუფი ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას ფინანსური აქტივის საწყის აღიარებასთან შედარებით. იმ შემთხვევაში თუ ადგილი არ აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, ჯგუფი აფასებს 12 თვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს სრულ საპროცენტო შემოსავალს. საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში, ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება სრული საპროცენტო შემოსავალი. საკრედიტოდ გაუფასურებული სესხებისთვის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და აღიარდება წმინდა საპროცენტო შემოსავალი.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე, ჯგუფი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ჯგუფის ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები, საწყისი აღიარებისას, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის ჯგუფის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

- აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ჯგუფმა (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, ჯგუფის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან სრულად მას შემდეგ, რაც ჯგუფი შეწყვეტს თანხის ამოღების მცდელობას. თუ ჩამოსაწერი თანხა დაგროვილი ზარალის რეზერვზე მეტია, სხვაობა ჯერ ემატება რეზერვს და შემდგომ გამოიქვითება საერთო საბალანსო ღირებულებიდან. შემდგომ პერიოდში თანხის ამოღება კრედიტდება საკრედიტო ზარალის ხარჯში. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

(ი) მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს.

(კ) საწესდებო კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შეესებოდა დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ლ) მიღებული სესხები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები საჭიროებისამებრ კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ასახული მოგება-ზარალში, სესხები, კრედიტორული დავალიანები, ან როგორც წარმოებული ჰეჯირების ინსტრუმენტი. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და ვალდებულებების შემთხვევაში, უშუალოდ მიკუთვნებადი ტრანზაქციის ხარჯების გამოკლებით.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს და სესხებს.

შემდგომი შეფასება

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსავლის და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვაზე მიღებული ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, ასევე ყველა მოსაკრებლის და ხარჯის გათვალისწინებით,

რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება როგორც ფინანსური ხარჯი. აღნიშნული კატეგორია გამოიყენება ძირითადად პროცენტის სესხების შემთხვევაში.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, გაუქმება ან ამოიწურება მოქმედების ვადა. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება იგივე გამსესხებლის მიერ ჩანაცვლდება მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან მოხდება არსებული ვალდებულებების არსებითი მოდიფიკაცია, მსგავსი ჩანაცვლება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

(მ) გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიას მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

(ნ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულება (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:
- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფისთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ო) მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

ჯგუფმა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. ჯგუფმა აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეუძლებელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(პ) სამართლიანი ღირებულების დადგენა

ჯგუფი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ბანკისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ჯგუფი სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას.

- ▶ დონე 1 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასები აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებზეც ჯგუფის აქვს წვდომა გაზომვის თარიღამდე. ჯგუფის მხოლოდ მაშინ მიაჩნია ბაზარი აქტიურად თუ არსებობს სათანადო სავაჭრო საქმიანობები შესაბამისი მოცულობითა და ლიკვიდურობით იდენტური აქტივებისა და ვალდებულებების და როდესაც საბალანსო თარიღისთვის ხელმისაწვდომია სავალდებულო და გამოყენებადი ფასების კვოტები. მონაცემები რომლებიც გამოყენებულ იქნა შეფასებაში არის დაუკორექტირებელი კვოტირებული ფასი, აქტიური ბაზრებიდან იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მიმართ, რომლებსაც ჯგუფის აქვს წვდომა გაზომვის თარიღთან.
- ▶ კომპანია აქტიურად მიიჩნევს ბაზრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საკმარისი სავაჭრო საქმიანობა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების მოცულობისა და ლიკვიდურობის თვალსაზრისით და როდესაც არსებობს ბალანსის თარიღის სავალდებულო და განხორციელებადი ფასები.
- ▶ დონე 2 ფინანსური ინსტრუმენტები - ესენია შეფასებისას გამოყენებული საშუალებები და რომლებიც არის არსებითი, გამომდინარეობს უშუალოდ ან ირიბად დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებიდან, რომელიც ხელმისაწვდომია ინსტრუმენტის მთელი სასიცოცხლო პერიოდის განმავლობაში. ასეთი საშუალებები მოიცავს აქტიური ბაზრის მსგავსი აქტივების ან ვალდებულებების კვოტირებულ ფასებს, როგორიცაა საპროცენტო განაკვეთის მრუდი, ნაგულისხმევი ცვალებადობა და საკრედიტო სპრედი.
- ▶ დონე 3 ფინანსური ინსტრუმენტები - ისინი რომლებიც მოიცავენ ერთს ან მეტ არასაბაზისო მონაცემებს რომელიც არსებითია მთლიანი შეფასებისათვის.

(ჟ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების შეტანისათვის საჭიროა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ცვლილების დამტკიცება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(რ) ახალი, შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაციები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის სტანდარტები თანხვედრაშია იმ სტანდარტებთან, რომელიც გამოყენებული იყო 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რომლითაც კომპანიებს მოეთხოვათ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია (და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა). შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია არსებითად ჩაითვლება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ გაგებას ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული სხვა არსებითი ინფორმაციის. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, თუ რა ინფორმაცია ჩაითვლება არსებითად საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ხდიდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გაურკვეველს. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ასევე შეიცვალა ფასს-ის პრაქტიკული დებულება 2 „არსებითობის განსჯის განხორციელება“.

რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განსაზღვრა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს, ან შემდეგ).

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია, არის შემდეგი:
- ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და შემდგომში შესწორებულია 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).
- ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის);
- თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია ჯგუფის ფინანსური მდგომარეობისთვისა და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ვადები

ძირითადი საშუალებები იცვითება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ჯგუფი აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის მოგება-ზარალის მუხლებში. სააღრიცხვო შეფასებებში ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასაქონლო მატერიალური მარაგების გაუფასურება

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით, ჯგუფი იყენებს შეფასებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულების დასადგენად ყოველი საანგარიშო წლის ბოლოს. მარაგების ვარგისიანობის ვადის გათვალისწინებით, ჯგუფი აფასებს დამკველბული და რთულად რეალიზებადი ერთეულების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას საანგარიშო პერიოდის ბოლოს და შემდგომ ნაწილობრივ ჩამოწერს მარაგების თვითღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება ძირითადად ეფუძნება დაშვებას მომავალ მოთხოვნაზე დროის განსაზღვრულ პერიოდში.

5. წინა პერიოდის შესწორება

კომპანიის ხელმძღვანელობამ მოახდინა შეცდომების იდენტიფიცირება 2022 და 2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, შესაბამისად მოხდა წინა საანგარიშგებო პერიოდების ანგარიშგებათა გადახედვა, რომელიც გამოწვეულია კომპანიის მიერ უკან დაბრუნებული პროდუქციის ღირებულების ანარიცხის კორექტირებით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია შეცდომის გასწორების ეფექტი კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

2022 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
ძირითადი საშუალების შესაძენად გადახდილი ავანსი	-	2,029,177	2,029,177
გადახდილი ავანსები	-	2,182,946	2,182,946
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16,903,433	(4,212,123)	12,691,310
აქტივის დაბრუნების უფლება	-	744,227	744,227
გაუნაწილებელი მოგება	(16,922,073)	293,885	(16,628,188)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(13,495,229)	1,700,005	(11,795,224)
მიღებული ავანსები	(2)	(1,700,005)	(1,700,007)
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	(1,038,112)	(1,038,112)
2021 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
აქტივის დაბრუნების უფლება	-	655,186	655,186
გაუნაწილებელი მოგება	(10,148,499)	278,797	(9,869,702)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(14,213,574)	824,165	(13,389,409)
მიღებული ავანსები	(98)	(824,165)	(824,263)
ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	-	(933,983)	(933,983)
2022 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
შემოსავალი რეალიზაციიდან	51,344,874	104,130	51,449,004
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(36,478,256)	(89,041)	(36,567,297)
2022 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	კორექტირებული თანხა
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	312,199	1,448,735	1,760,934
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(3,533,985)	(1,448,735)	(4,982,720)

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	60,736,323	52,395,753
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(1,385,818)	(946,749)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	59,350,505	51,449,004

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	43,292,983	37,284,071
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება*	(961,686)	(716,774)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	42,331,297	36,567,297

*ჯგუფში საქონლის უკან დაბრუნება ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სუბიექტი არ იხდის რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილ მოთხოვნაზე შესაბამის ფულად კომპენსაციას, ხდება მაღაზიის დაკეტვა ან გაუყიდავი მარაგების დაბრუნება. კომპანია ყოველ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ახდენს უკან დაბრუნებული პროდუქტების ანალიზს მოსალოდნელი ღირებულების მეთოდით.

8. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2,023	2,022
ხელფასის ხარჯი	3,016,251	2,497,660
მოთხოვნების ანარიცხები	782,270	193,085
ცვეთის ხარჯი	629,062	647,277
ფინანსური და იურიდიული მომსახურება	186,537	177,308
საოფისე ხარჯი	156,781	99,953
საპენსიო ხარჯი	128,985	92,719
საბანკო ხარჯი	101,506	98,634
საწვავის ხარჯი	99,569	123,972
რემონტისა და შენახვის ხარჯები	97,722	71,942
დაცვის მომსახურების ხარჯი	47,705	44,106
ავანსების ჩამოწერა	43,752	-
საიჯარო ქირა	43,579	121,774
მივლინების ხარჯი	42,168	53,434
საკომუნიკაციო ხარჯი	38,297	33,347
ქონების გადასახადი	26,123	21,836
დაზღვევის ხარჯი	20,132	22,246
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	150,443	111,156
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	5,610,882	4,410,449

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	2,672,842	2,443,067
სარეკლამო და მარკეტინგული ხარჯი	1,469,115	1,920,061
საწვავის ხარჯი	312,737	333,603
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	282,387	176,603
ავტომობილების დაზღვევის ხარჯი	37,918	30,331
მიწოდების სხვა ხარჯი	10,385	7,620
სულ მიწოდების ხარჯები	4,785,384	4,911,285

10. არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯები

არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
სადაზღვევო შემთხვევებიდან მიღებული ანაზღაურება	53,525	86,721
სესხის გაუფასურება	34,083	-
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	28,873	-
იჯარის გაუქმებიდან მიღებული შემოსავალი	26,042	25,714
ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა	9,061	143,813
ფასადკლები და საჩუქრები	2,122	147,893
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	18,401	14,906
სულ არასაოპერაციო შემოსავალი	172,107	419,047

	2023	2022
უსაბუთო ხარჯები	257,285	308,548
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული ზარალი	99,794	-
ჯარიმები	6,418	15,157
სხვა არასაოპერაციო ზარალი	23,779	31,545
სულ არასაოპერაციო ხარჯი	387,276	355,250

11. წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან

წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან 2023 და 2022 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2023	2022
შემოსავალი სავალუტო ოპერაციებზე	(538,225)	(100,061)
ზარალი სავალუტო ოპერაციებზე	351,077	2,343,763
სულ წმინდა მოგება / (ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(187,148)	2,243,702

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

ჯგუფის ძირითადი საშუალებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიწის ნაკვეთები	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა,	ავიჯი და სხვა ინვენტარ	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი, 2021	1,725,322	710,028	601,220	183,107	970,286	526,665	626,702	5,343,330
დანამატები	1,771,520	381,356	-	31,384	158,551	112,441	-	2,455,252
აქტივის გასვლა	-	-	-	-	-	(25,694)	(137,481)	(163,175)
31 დეკემბერი, 2022	3,496,842	1,091,384	601,220	214,491	1,128,837	613,412	489,221	7,635,407
დანამატები	-	-	-	85,803	84,225	258,870	-	428,898
ტრანზერტი მარაგებიდან	-	-	-	3,388	126,106	137	-	129,631
აქტივის ჩამოწერა	-	-	(240,808)	(216)	(1,243)	(7,038)	-	(249,305)
31 დეკემბერი, 2023	3,496,842	1,091,384	360,412	303,466	1,337,925	865,381	489,221	7,944,631
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი, 2021	-	(19,520)	(395,659)	(83,157)	(441,872)	(239,956)	(271,780)	(1,451,944)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(65,948)	(68,443)	(39,495)	(192,114)	(111,678)	(49,255)	(526,933)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	-	-	-	18,405	137,481	155,886
31 დეკემბერი, 2022	-	(85,468)	(464,102)	(122,652)	(633,986)	(333,229)	(183,554)	(1,822,991)
ცვეთა პერიოდისთვის	-	(82,413)	(30,720)	(44,345)	(187,806)	(54,393)	(81,716)	(481,393)
ჩამოწერილი აქტივების ცვეთა	-	-	142,779	277	1,245	7,039	-	151,340
31 დეკემბერი, 2023	-	(167,881)	(352,043)	(166,720)	(820,547)	(380,583)	(265,270)	(2,153,044)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	1,725,322	690,508	205,561	99,950	528,414	286,709	354,922	3,891,386
31 დეკემბერი 2022	3,496,842	1,005,916	137,118	91,839	494,851	280,183	305,667	5,812,416
31 დეკემბერი 2023	3,496,842	923,503	8,369	136,746	517,378	484,798	223,951	5,791,587

2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ძირითადი საშუალებები „მიწები“ წარმოადგენს კომპანიის მიერ მიღებული სესხების უზრუნველყოფის საგანს. აგრეთვე 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის არ გააჩნდა სრულად გაცვეთილი და მოხმარებაში არსებული აქტივები.

შპს „იბერტექ გრუპი“
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13. საინვესტიციო ქონება

ჯგუფის საინვესტიციო ქონება 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ისტორიული ღირებულება	შენობა ნაგებობები
31 დეკემბერი, 2021	184,370
დანამატები	-
31 დეკემბერი, 2022	184,370
დანამატები	-
31 დეკემბერი, 2023	184,370
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2021	(28,732)
ცვეთა პერიოდისთვის	(9,212)
31 დეკემბერი, 2022	(37,944)
ცვეთა პერიოდისთვის	(16,958)
31 დეკემბერი, 2023	(54,902)
საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2021	155,638
31 დეკემბერი, 2022	146,426
31 დეკემბერი, 2023	129,468

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისგან. აღნიშნული საინვესტიციო ქონება მდებარეობს თბილისში, ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილი, N6-ში, საინვესტიციო ქონება მოიცავს 87.4 კვ.მ საცხოვრებელ ფართს. ხელმძღვანელობის მოკვლევის შედეგად მსგავსი ტიპის უძრავი ქონება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება კომანიის ბალანსზე არსებული საინვესტიციო ქონების ღირებულებიდან.

14. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება

ჯგუფის საიჯარო ხელშეკრულებები, რომლისთვისაც აღიარებულია აქტივების გამოყენების უფლება, მოიცავს იჯარას. ხელშეკრულების განახლების უფლება გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. საიჯარო გადასახდელები წარმოდგენილია როგორც ლარში.

აქტივის გამოყენების უფლება	შენობები
31 დეკემბერი 2021	2,934,288
იჯარის დამატება	621,999
იჯარის გაუქმება	(1,350,922)
31 დეკემბერი 2022	2,205,365
იჯარის დამატება	397,256
იჯარის გაუქმება	(246,290)
31 დეკემბერი 2023	2,356,331
დაგროვილი ამორტიზაცია	
31 დეკემბერი 2021	(158,182)
წლის ამორტიზაცია	(115,302)
გაუქმებული იჯარის ცვეთის გადახურვა	202,638
31 დეკემბერი 2022	(70,846)
წლის ამორტიზაცია	(130,712)
გაუქმებული იჯარის ცვეთის გადახურვა	12,314
31 დეკემბერი 2023	(189,244)
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი 2021	2,776,106
31 დეკემბერი 2022	2,134,519
31 დეკემბერი 2023	2,167,087

14. აქტივების გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება (გაგრძელება)

ჯგუფი ფართოდ განმარტავს საიჯარო ხელშეკრულებებში იჯარის სავალდებულო აღსრულების შესაძლებლობას. საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის დადგენისას ჯგუფი ამყარებს მის მსჯელობას ხელშეკრულების და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც საშუალებას იძლევა, რომ ფაქტორები როგორებიცაა, ეკონომიკური ჯარიმები, იურიდიული მიდგომა იჯარის განახლებასთან დაკავშირებით და რეგულაციის მოსალოდნელი ცვლილებები, ეფექტურად იყოს ასახული იჯარის ვადის შეფასებაში.

იჯარის იძულებითი აღსრულების პერიოდის განსაზღვრისას, ჯგუფი ასევე ითვალისწინებს საიჯარო კეთილმოწყობების მიტოვების ან დაშლის ხარჯებს, ადგილმდებარეობის შეცვლის ხარჯს და ა.შ. ყველა იჯარა არის გაუქმებადი მოიჯარის მიერ საიჯარო ხელშეკრულებების დაფარვის ვადის დადგომამდე. ჯგუფმა გაანალიზა ყველა შესაბამისი ფაქტი და გარემოება და დაასკვნა, რომ იჯარის ვადა უტოლდება პერიოდს სახელშეკრულებო ვადის დასრულებამდე.

31 დეკემბერი 2021	2,943,052
დანამატი	621,998
საპროცენტო ხარჯი	270,718
გასვლა	(1,288,321)
გადახდილი ძირი	(31,113)
გადახდილი პროცენტი	(270,718)
31 დეკემბერი 2022	2,245,616
დანამატი	397,256
საპროცენტო ხარჯი	267,363
გასვლა	(243,036)
გადახდილი ძირი	(9,599)
გადახდილი პროცენტი	(77,761)
31 დეკემბერი 2023	2,579,839

15. მარაგები

მარაგები 2023, 2022 და 2021 წლის მდგომარეობით წარმოადგენილია შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	19,611,888	18,075,337	17,396,745
ნედლეული და მასალები	80,540	36,693	16,214
სულ მარაგები	19,692,428	18,112,030	17,412,959

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
მიმდინარე			
სავაჭრო მოთხოვნები რეალიზაციიდან	13,497,695	13,529,279	9,744,679
სავაჭრო მოთხოვნები რეზერვი	(1,620,239)	(837,969)	(642,686)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,877,456	12,691,310	9,101,993

შპს იბერტექ გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

16. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	11,026,695	0%	-	11,026,695
მიმდინარე მოთხოვნები	9,629	1%	(96)	9,533
30-90 დღის ვადაგადაცილება	95,904	3%	(2,877)	93,027
91-180 დღის ვადაგადაცილება	331,621	5%	(16,581)	315,040
181-360 დღის ვადაგადაცილება	509,601	15%	(76,440)	433,161
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,524,245	100%	(1,524,245)	-
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	13,497,695		(1,620,239)	11,877,456

მოთხოვნები	ბრუტო საბალანსო ღირებულება	ზარალის განაკვეთი	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	საბალანსო ღირებულება
მიმდინარე მოთხოვნები	10,520,588	0%	-	10,520,588
მიმდინარე მოთხოვნები	1,028,580	1%	(10,286)	1,018,295
30-90 დღის ვადაგადაცილება	382,291	3%	(11,469)	370,822
91-180 დღის ვადაგადაცილება	489,025	5%	(24,451)	464,574
181-360 დღის ვადაგადაცილება	372,978	15%	(55,947)	317,031
360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	735,816	100%	(735,816)	0
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	13,529,278		(837,969)	12,691,310

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის მოძრობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	2,023	2,022	2,021
1 იანვრის მდგომარეობით	(837,969)	(642,686)	(333,808)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი	(782,270)	(195,283)	(452,032)
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის გაუქმება	-	-	143,154
31 დეკემბრის მდგომარეობით	(1,620,239)	(837,969)	(642,686)

კოლექტიური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, ჯგუფმა დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

ჯგუფი ადგენს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს გაწეული ზარალის მისეულ შეფასებას სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში. ამ რეზერვის მთავარი კომპონენტები მოიცავს ზარალის სპეციფიკურ კომპონენტს, რომელიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვან დამოკიდებულებებს და კოლექტიური ზარალის კომპონენტს უკავშირდება, რომელიც დგინდება მოთხოვნის ვადაგადაცილებიდან ჩამოწერამდე თანმიმდევრულ ეტაპებს შორის გადასვლის ალბათობაზე დაფუძნებული, პატარა ნაშთების დიდი ოდენობისთვის.

ჯგუფი იყენებს ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების შესაფასებლად, რომლისთვისაც გამოიყენა სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მთელი სასიცოცხლო ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალები. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ ჯგუფი აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს: მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით; ფულის დროითი ღირებულების; გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

სარეზერვო ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ ჯგუფი არ მიიღებს დამაკმაყოფილებელ მტკიცებულებას იმისას, რომ შეუძლებელია მართებული თანხის ამოღება; ასეთ შემთხვევაში, თანხა მიიჩნევა უიმედოდ და ჩამოიწერება პირდაპირ ფინანსურ აქტივთან მიმართებაში. ჯგუფის სჯერა, რომ არ არის აუცილებელი გაუფასურების რეზერვი ვადაგადაცილებულ სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში, გარდა უკვე გათვალისწინებულისა.

შპს იბერტექ გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. გაცემული სესხები

ჯგუფის გაცემული სესხები 2023, 2022 და 2021 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	2023	2022	2021
გრძელვადიანი:			1,436,113	1,844,602	1,365,841
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხები	ლარი	20%	7,836	-	-
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	12%	1,311,225	1,731,037	1,239,000
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ევრო	6.5%	117,052	113,565	126,841
მოკლევადიანი:			735,148	816,341	391,893
ფიზიკურ პირზე გაცემული სესხები	ლარი	20%	178	54,843	3,113
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ლარი	12%	718,511	753,120	387,864
იურიდიულ პირებზე გაცემული სესხები	ევრო	6.5%	16,459	8,378	916
სულ გაცემული სესხები			2,171,261	2,660,943	1,757,734

ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხებს საკრედიტო დონეების მიხედვით:

2023	გაცემული სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა გაცემული სესხები
დონე 1	2,126,951	(44,310)	2,171,261
დონე 3	50,430	(50,430)	-
სულ	2,177,381	(94,740)	2,171,261

2022	გაცემული სესხები	გაუფასურების რეზერვი	წმინდა გაცემული სესხები
დონე 1	2,658,336	(53,167)	2,605,169
დონე 3	78,310	(22,536)	55,774
სულ	2,736,646	(75,703)	2,660,943

სესხების მოძრაობა:	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	2,660,943	1,731,572
სესხის გაცემა	10,100	636,300
მიღებული ძირი	(707,900)	(113,000)
მიღებული პროცენტი	(42,660)	-
სესხის გაუფასურება	(19,037)	147,921
საპროცენტო შემოსავალი	260,746	243,787
საკურსო სხვაობების ეფექტი	9,069	14,363
31 დეკემბრის მდგომარეობით	2,171,261	2,660,943

ცხრილი გვიჩვენებს გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის მოძრაობას:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისი	(75,703)	(223,624)
გაუფასურების ხარჯი	(19,037)	147,921
ნაშთი წლის ბოლოს	(94,740)	(75,703)

შპს იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

18. წინასწარ გადახდილი გადასახადები

წინასწარ გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების N 407 შესაბამისად.

19. ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ეკვივალენტები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
ფული სალაროს ანგარიშზე	300,320	215,326	119,807
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	26,894	-	-
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	851,275	725,623	279,601
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	18,711	40,692	188,511
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,197,200	981,641	587,919

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch- ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

20. მიღებული სესხები

ჯგუფის მიღებული სესხები 2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
გრძელვადიანი გაცემული სესხები			
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	1,671,183	791,899	5,346,527
მოკლევადიანი გაცემული სესხები			
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხები	16,544,814	12,983,209	6,328,389
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხები	-	9,488	-
	18,215,997	13,784,596	11,674,916

სესხის მოძრაობა წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხების მოძრაობა:	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	13,784,596	11,674,916
სესხის მიღება	34,971,617	20,656,754
გადახდილი ძირი	(30,581,233)	(16,935,573)
გადახდილი პროცენტი	(1,377,291)	(1,034,379)
საკუროს სხვაობების წმინდა ეფექტი	47,363	(1,688,717)
საპროცენტო ხარჯი	1,370,945	1,111,595
31 დეკემბრის მდგომარეობით	18,215,997	13,784,596

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება:

	31 დეკემბერი, 2023	31 დეკემბერი, 2022	31 დეკემბერი, 2021
სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები	3,395,426	11,218,424	12,580,234
გადასახდელი ხელფასები	849,000	576,800	809,175
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,244,426	11,795,224	13,389,409

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს არ ერიცხებათ პროცენტი. ჯგუფის გააჩნია რისკების მართვის პოლიტიკა, იმისთვის, რომ შესაძლებელი იქნეს ვალდებულებების დროული გადახდა.

22. პირობითი ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ ჯგუფის დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი. საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2023, 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

23. ფინანსური რისკი

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ჯგუფის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია ჯგუფის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებისა რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქცია არის შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

სხვა საქმიანობებთან ერთად ჯგუფი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

23. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებების მოითხოვება სამართლიანი ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის ჯგუფი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. სამართლიანი ღირებულების შეფასებას ჯგუფი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- **დონე 1:** აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- **დონე 2:** თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირ ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს.
- **დონე 3:** არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება;

სამართლიანი ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

სამართლიანი ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ჯგუფი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. სამართლიანი ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ჯგუფი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად.

პროცენტის მატარებელი ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. პროცენტის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც

დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ჯგუფის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით ან აქვს ფიქსირებული ან მცოცავი საპროცენტო განაკვეთით, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული სამართლიანი ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი მერყეობს 7.5%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

კაპიტალის მართვა

ჯგუფი თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯგუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ჯგუფი აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

შპს იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ჯგუფის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, ჯგუფი მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად ჯგუფი განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიმძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა ჯგუფში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივები გაუფასურების გამოკლებით	11,877,456	11,982,228	8,560,331
გაცემული სესხები გაუფასურების გამოკლებით	2,171,261	2,621,079	1,731,571
ფული და ფულის ეკვივალენტები გარდა ნაღდი ფულისა	869,986	765,071	467,951
სულ საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა	14,918,703	15,368,378	10,759,853

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

ჯგუფის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ, როგორც გადმოცემულია შენიშვნაში 12.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ჯგუფის წარმოქმნილი რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2023	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	11,877,456	-	-	11,877,456
გაცემული სესხები	2,037,750	133,511	-	2,171,261
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,151,596	8,218	37,386	1,197,200
სულ ფინანსური აქტივები	15,066,802	141,729	37,386	15,245,917
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,810,301	434,125	-	4,244,426
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	2,579,839	-	-	2,579,839
მიღებული სესხები	5,082,543	4,082,195	9,051,259	18,215,997
სულ ფინანსური ვალდებულებები	11,472,683	4,516,320	9,051,259	25,040,262
ღია სავალუტო პოზიცია	3,594,119	(4,374,591)	(9,013,873)	(9,794,345)

შპს იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

31 დეკემბერი, 2022	ლარი	ევრო	აშშ დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	12,323,619	-	-	12,323,619
გაცემული სესხები	2,539,000	121,943	-	2,660,943
ფული და ფულის ეკვივალენტები	940,949	12,495	28,197	981,641
სულ ფინანსური აქტივები	15,803,568	134,438	28,197	15,966,203
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12,053,742	342,928	1,098,558	13,495,228
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	2,245,616	-	-	2,245,616
მიღებული სესხები	2,684,732	1,359,411	9,726,759	13,770,902
სულ ფინანსური ვალდებულებები	16,984,090	1,702,339	10,825,317	29,511,746
ღია სავალუტო პოზიცია	(1,180,522)	(1,567,901)	(10,797,120)	(13,545,543)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს ჯგუფის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. საკურსო სხვაობის გავლენა წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2023	2022	2022	2022	2022
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	20%	-20%	20%	-20%	20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი (ზარალი) მოგება	(1,802,775)	1,802,775	(2,102,016)	2,102,016	(661,117)	661,117
ევროს ეფექტი (ზარალი) მოგება	(874,918)	874,918	(313,580)	313,580	5,925,940	(5,925,940)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ჯგუფი დგას საპროცენტო რისკის წინაშე, რადგანაც ჯგუფის გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე მიღებული სესხები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ჯგუფის მიერ აღებული ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი სესხები დენომინირებულია აშშ დოლარში.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, ჯგუფის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. ჯგუფი ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

შპს იბერტექ გრუპი

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

23. ფინანსური რისკი (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2023	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	735,148	1,436,113	2,171,261
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,877,456	-	11,877,456
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,197,200	-	1,197,200
სულ ფინანსური აქტივები	13,809,804	1,436,113	15,245,917
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	16,544,814	1,671,183	18,215,997
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	224,729	2,355,110	2,579,839
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,061,424	4,244,426	11,305,850
სულ ფინანსური ვალდებულებები	23,830,967	8,270,719	32,101,686
ლიკვიდურობის სხვაობა			

31 დეკემბერი, 2022	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	816,341	1,844,670	2,661,011
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11,982,228	-	11,982,228
ფული და ფულის ეკვივალენტები	980,397	-	980,397
სულ ფინანსური აქტივები	13,778,966	1,844,670	15,623,636
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12,992,697	791,899	13,784,596
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	35,377	2,210,239	2,245,616
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	7,061,424	-	7,061,424
სულ ფინანსური ვალდებულებები	20,089,498	3,002,138	23,091,636
ლიკვიდურობის სხვაობა	(6,310,532)	(1,157,468)	(7,468,000)

31 დეკემბერი, 2021	ერთ წლამდე	1-დან 5 წლამდე	სულ
ფინანსური აქტივები			
გაცემული სესხები	365,730	1,365,841	1,731,571
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,560,331	-	8,560,331
ფული და ფულის ეკვივალენტები	587,758	-	587,758
სულ ფინანსური აქტივები	9,513,819	1,365,841	10,879,660
ფინანსური ვალდებულებები			
მიღებული სესხები	6,328,389	5,346,527	11,674,916
ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე	4,421	2,938,631	2,943,052
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,143,830	-	9,143,830
სულ ფინანსური ვალდებულებები	15,476,640	8,285,158	23,761,798
ლიკვიდურობის სხვაობა	(5,962,821)	(6,919,317)	(12,882,138)

ლიკვიდურობის რისკის სამართვად ჯგუფი იყენებს საკუთარ ფინანსურ აქტივებს, როგორცაა ფულადი რესურსები.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული ჯგუფი (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს ჯგუფში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს ჯგუფში ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც ჯგუფის აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი ჯგუფი და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც ჯგუფი წარმოადგენს საწარმოს;
- გ) ჯგუფის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შედგენის სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული ჯგუფი.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	113,137	188,917	30,252
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	187,143	263,629	1,693

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სრული შემოსავლის ანგარიშგება	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები	საერთო კონტროლის დაქვემდებარებული საწარმოები
მომსახურების მიღება	9,600	432,000	-
შემოსავალი	-	22,857	6,284

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2023 და 2022 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასები კატეგორიაში (შენიშვნა 8)

	2023	2022
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	339,679	215,936

იბერტექ გრუპი

ჯგუფის მმართველობის ანგარიშგება

2023 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „იბერტექ გრუპი“ („კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2010 წლის 13 აგვისტოს. ჯგუფის სარეგისტრაციო ნომერია: 445388394 ჯგუფის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №12ა მე-4 სართული.

კომპანია საქმიანობს საქართველოს ტერიტორიაზე და ყიდის თავის პროდუქციას როგორც საქართველოში. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს განათების საშუალებების, სანტექნიკისა, სამშენებლო-სამეურნეო ინსტრუმენტების საბითუმო რეალიზაცია და საპროექტო, სამშენებლო მომსახურება.

2022; 2021 წლების 31 დეკემბრის და 2021 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელი არის შალვა ყაფლანიშვილი.

2022 წლის განმავლობაში კომპანია ფლობდა შემდეგ შვილობილ საწარმოებს, რომელთან ერთადაც შპს „იბერტექ გრუპი“ მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“:

კომპანია	ურთიერთობის სახე	2022	2021	საქმიანობის სახე
შპს ბორან ლიათი	შვილობილი	100%	100%	განათების საშუალებების, სანტექნიკისა, სამშენებლო-სამეურნეო ინსტრუმენტების საბითუმო რეალიზაცია.
შპს ბორან მაინინგ ენდ კო		100%	100%	საპროექტო, სამშენებლო მომსახურება

ჯგუფი შედგება ცენტრალური და რეგიონული ფილიალებისგან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი ფლობს:

- ცენტრალურ-მმართველობით ოფისს თბილისში
- რეგიონულ ფილიალს ქუთაისში
- რეგიონულ ფილიალს მარნეულში

ჯგუფი იყენებს 4500 კვ. მ სასაწყობო ფართს. იმპორტირებული საქონლის დისტრიბუცია ხორციელდება ჯგუფის თანამშრომლების მიერ ტერიტორიული პრინციპის დაცვით.

ჯგუფის პროდუქცია შეიძლება რამდენიმე ქვეკატეგორიად დავყოთ:

- განათების საშუალებები
- ბადის მოვლა
- სამეურნეო ინვენტარი
- სანტექნიკა

სამომავლო გეგმები

სამომავლოდ ჯგუფის მიზნებში შედის არსებული ქსელის და ასორტიმენტის კიდევ უფრო გაფართოება. ჯგუფის სამომავლო მიზნებში შედის შემდეგი მიმართულებები:

- სანტექნიკის მიღები
- კარ-ფანჯრები ამჟამად კომპანია აღნიშნული მიმართულებებით ბაზრის კვლევის სტადიაზე იმყოფება
- ინფორმაცია სუბიექტის ფილიალების საქმიანობის შესახებ;

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს ბაზრის კვლევას. თითოეული ახალი მიმართულებისა და სეგმენტისთვის სადაც ჯგუფი მიმართავს დამატებით ინვესტიციებს, წინასწარაა შესწავლილი. კვლევა და განვითარების დაგეგმვა მოიცავს როგორც სამომხმარებლო ბაზრის შესწავლას ასევე კომპანიის თანამშრომლების გადამზადება-ტრენინგებს.

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არაფინანსური და ფინანსური მაჩვენებლები

შპს „იბერტექ გრუპი“ მისი დაფუძნების თარიღიდან დაწყებული, ყოველწლიურად ანვითარებს საქმიანობას. კომპანიაში სტაბილურად იზრდება როგორც ბრუნვა და აქტივები ასევე თანამშრომლების რაოდენობა.

2023 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 280-მდე ადამიანი. ჯგუფი აცნობიერებს თუ ადამიანური რესურსის მნიშვნელობას წარმატებაში, რეგულარულად ახდენს თანამშრომლების მოტივაციას. მოტივაციის ფორმებად ჯგუფი მიიჩნევს როგორც ფულად წასახალისებას - ბონუსს/პრემიას, ასევე სხვადასხვა აქტივობებს, იქნება ეს კვალიფიკაციის ამაღლება, გასართობი ივენთები და ა.შ. კომპანიის თანამშრომლებს გააჩნიათ დაზღვევა, პანდემიის და ლოკდაუნის პირობებში კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას.

2023 წელს ჯგუფის წმინდა მოგება შეადგინა 4,846,080 ლარი.

ჯგუფი მფლობელობაში არსებული თითოეული ბრენდი დიდი ხანია ბაზარზე არსებობს და დიდი ხანია მოიპოვა მომხმარებლის ნდობა, მისი ხარისხის და ხელმისაწვდომობის გამო.

ჯგუფი ძირითადად თანამშრომლობს ჩინურ, თურქულ და შვედურ მომწოდებლებთან. ეს წარმატებული ურთიერთობა ზოგიერთ პარტნიორთან უკვე 10 წელს აჭარბებს და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ჯგუფის ბრენდებში გაერთიანებული პროდუქციის ხარისხი არასდროს დამდაგარა ექვევებოდა.

ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც რიგითი მოქალაქეები ასევე მსხვილი სამშენებლო თუ სარემონტო კომპანიები. ჯგუფის განათების სისტემებით განათებულია რამდენიმე მსხვილის სავაჭრო ცენტრი, ბანკები და ა.შ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკს წარმოქმნის არსებული დებიტორული დავალიანება. ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია გაუფასურების რეზერვების გათვალისწინებით. კლიენტების გადახდისუნარიანობა შეფასებულია ინდივიდუალურად.

შეფასებისთვის მხედველობაში მიიღება წარსული გამოცდილება, არსებული კონტრაქტები და ძირითად კონტრაგენტებთან თანამშრომლობის ხანგრძლივი და წარმატებული პრაქტიკა. ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს კლიენტებთან შედარებებს, შეხვედრებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს კლიენტთან ოპერაციების შეწყვეტის ან უკიდურეს შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის გადაწყვეტილებას.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. ჯგუფის მიერ მიღებული მოგების პრაქტიკულად სრული რეინვესტირებით ცდილობს მაქსიმალურად შეიმციროს ეს რისკი. ჯგუფის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,5-ს შეადგენს.

სავალუტო რისკი

ვინაიდან ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის იმპორტს ჯგუფი გააჩნია უცხოური ვალუტის რისკი. აღნიშნული რისკი გამოიხატება სავალუტო კურსების მკვეთრი რყევით დაგეგმილი ფულადი ნაკადების და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრ რყევაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის ჯგუფში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ხორციელდება მარაგების და სხვა ნებისმიერი აქტივის რეგულარული გადამოწმება, დადასტურება და გადახრის ან ხარვეზის შემთხვევაში დაუყოვნებელი რეაგირება.

ვეფხვია საზუაშვილი
დირექტორი

25 სექტემბერი 2024

შპს „იბერტექ გრუპი“

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

არაფინანსური და ფინანსური მაჩვენებლები

შპს „იბერტექ გრუპი“ მისი დაფუძნების თარიღიდან დაწყებული, ყოველწლიურად ანვითარებს საქმიანობას. კომპანიაში სტაბილურად იზრდება როგორც ბრუნვა და აქტივები ასევე თანამშრომლების რაოდენობა.

2023 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო 280-მდე ადამიანი. ჯგუფი აცნობიერებს თუ ადამიანური რესურსის მნიშვნელობას წარმატებაში, რეგულარულად ახდენს თანამშრომლების მოტივაციას. მოტივაციის ფორმებად ჯგუფი მიიჩნევს როგორც ფულად წასახალისებას - ბონუსს/პრემიას, ასევე სხვადასხვა აქტივობებს, იქნება ეს კვალიფიკაციის ამაღლება, გასართობი ივენთები და ა.შ. კომპანიის თანამშრომლებს გააჩნიათ დაზღვევა, პანდემიის და ლოქდაუნის პირობებში კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურებას.

2023 წელს ჯგუფის წმინდა მოგება შეადგინა 4,846,080 ლარი.

ჯგუფი მფლობელობაში არსებული თითოეული ბრენდი დიდი ხანია ბაზარზე არსებობს და დიდი ხანია მოიპოვა მომხმარებლის ნდობა, მისი ხარისხის და ხელმისაწვდომობის გამო.

ჯგუფი ძირითადად თანამშრომლობს ჩინურ, თურქულ და შვედურ მომწოდებლებთან. ეს წარმატებული ურთიერთობა ზოგიერთ პარტნიორთან უკვე 10 წელს აჭარბებს და მთელი ამ პერიოდის მანძილზე ჯგუფის ბრენდებში გაერთიანებული პროდუქციის ხარისხი არასდროს დამდგარა ეჭვქვეშ.

ჯგუფის მომხმარებლები არიან როგორც რიგითი მოქალაქეები ასევე მსხვილი სამშენებლო თუ სარემონტო კომპანიები. ჯგუფის განათების სისტემებით განათებულია რამდენიმე მსხვილის სავაჭრო ცენტრი, ბანკები და ა.შ.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკს წარმოქმნის არსებული დებიტორული დავალიანება. ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მოცემულია გაუფასურების რეზერვების გათვალისწინებით. კლიენტების გადახდისუნარიანობა შეფასებულია ინდივიდუალურად.

შეფასებისთვის მხედველობაში მიიღება წარსული გამოცდილება, არსებული კონტრაქტები და ძირითად კონტრაგენტებთან თანამშრომლობის ხანგრძლივობა და წარმატებული პრაქტიკა. ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს კლიენტებთან შედარებებს, შეხვედრებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს კლიენტთან ოპერაციების შეწყვეტის ან უკიდურეს შემთხვევაში სასამართლოსთვის მიმართვის გადაწყვეტილებას.

ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა

ლიკვიდობა ნებისმიერი კომპანიისთვის რისკია. ჯგუფის მიერ მიღებული მოგების პრაქტიკულად სრული რენევსტირებით ცდილობს მაქსიმალურად შეიმციროს ეს რისკი. ჯგუფის საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1,5-ს შეადგენს.

სავალუტო რისკი

ვინაიდან ჯგუფი ახორციელებს პროდუქციის იმპორტს ჯგუფი გააჩნია უცხოური ვალუტის რისკი. აღნიშნული რისკი გამოიხატება სავალუტო კურსების მკვეთრი რყევით დაგეგმილი ფულადი ნაკადების და პროდუქციის თვითღირებულების მკვეთრი რყევაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციისთვის ჯგუფში ფუნქციონირებს შიდა აუდიტის დეპარტამენტი. ხორციელდება მარაგების და სხვა ნებისმიერი აქტივის რეგულარული გადამოწმება, დადასტურება და გადახრის ან ხარვეზის შემთხვევაში დაუყოვნებელი რეაგირება.



25 სექტემბერი 2024